

სამეტყველო კონფლიქტების პრევენციის მნიშვნელობა საზღვაო განათლებაში

აბაშიძე მედეა – ასისტენტ-პროფესორი, უცხო ენათა დეპარტამენტი, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია, ბათუმი, საქართველო

სიხარულიძე ლუიზა – ასოცირებული პროფესორი, ნავიგაციის დეპარტამენტი, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია, ბათუმი, საქართველო

ბეჟანოვი ზურაბ – პროფესორი, უცხო ენათა დეპარტამენტი, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია, ბათუმი, საქართველო

Maritime Education in a Speech Conflict Prevention

Abashidze Medea – Assistant Professor, Department of Foreign Languages, Batumi State Maritime Academy, Batumi, Georgia

Sikharulidze Luiza – Associate Professor, Department of Navigation, Batumi State Maritime Academy, Batumi, Georgia

Bezhanovi Zurab – Professor, Department of Foreign Languages, Batumi State Maritime Academy, Batumi, Georgia

Abstract

Introduction and aim: The aim of the research is to analyse the factors, causing the speech conflicts on board the modern merchant ships and to propose the ways of their prevention.

Research methodology: The research is implemented using comparative over statistic methodology.

Results and implications: The research results are presented by the set of measures preventing the speech conflicts causing different trouble situations on board the merchant ships.

Conclusion: The results of the conducted research show the importance of involvement of speech conflict prevention into maritime studies curriculum.

Keywords: speech conflict, prevention, onboard communication, cross-culture barriers

საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის წყაროების ანალიზის თანახმად სავაჭრო გემზე მომუშავე პერსონალზე უარყოფით ზემოქმედებას ძირითადად ახდენს 83 ფაქტორი. ძირითად ფაქტორად გამოვლენილია:

- ვიბრაცია;
- ღელვა;
- ტემპერატურული რეჟიმის სწრაფი და მნიშვნელოვანი ცვალებადობა;
- სასაათო სარტყელების ცვალებადობა;
- ჩაკეტილისივრცე;
- ნოსტალგია;
- მუდმივი საფრთხის განცდა;
- ერთფეროვნული გარემო;
- მუშაობის მონოტონური რეჟიმი;
- საინფორმაციო ნაკლებობა/ვაკუუმი;

- სამზარეულოს ერთფეროვნება;
- სასმელი წყლის პრობლემა;
- ვიტამინიზებული საკვების უკმარისობა;
- საკვები პროდუქტების შეუსაბამობა გენეტიკასთან;
- არანორმირებული სამუშაო საათები;
- სამუშაო ჩაკეტილ ნაგებობებში;
- საშიშ ტვირთებთან მუშაობა;
- შერეული ეკიპაჟები (სხვადასხვა ეროვნებისა და ტრადიციების ადამიანებთან მუშაობა);
- მუშაობის იერარქიული სტილი და სხვა.

ზემოთ ჩამოთვლილი არასრული სიაც საკმარისია იმისათვის, რომ გავაკეთოთ ანალიზი ეკიპაჟის სულიერ და ფიზიკურ დატვირთვებზე.

მუქარის სპეციფიკა გემის ინტერნაციონალურ გარემოში

მუქარის, როგორც სამეტყველო აქტის, გამოხატულების პლანი მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული სიტუაციურ ჩარჩოზე. ჩვენი ნაშრომის მიზანია მუქარის ზოგადკატეგორიულ ბუნებასთან ერთად მისი სპეციფიკური გამოვლინება სპეციფიკურ გარემოში—საზღვაო კომუნიკაციაში. სოციოლოგიური გამოკვლევის კონკრეტული ფორმა განისაზღვრება მასში დასმულ მიზნითა და ამოცანებით. ამ თვალსაზრისით სოციოლოგიური გამოკვლევის 3 ტიპიდან (დაზვერვითი, აღწერითი, ანალიტიკური), ჩვენი კვლევისთვის მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ანალიტიკური მეთოდი, რომელიც მიზნად ისახავს არამარტო საკვლევი მოვლენის სტრუქტურული ელემენტების შესწავლას, არამედ მიზეზ–შედეგობრივი კავშირების გამოვლენას, რომლებიც განსაზღვრავენ მათ თავისებურებას. ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო ის, რომ სოციოლოგიური ინფორმაციის შეგროვების მეთოდების თვალსაზრისით ანალიტიკურ კვლევას კომპლექსური ხასიათი აქვს. მასში გამოიყენება გამოკითხვის, ინტერვიუების, დოკუმენტების ანალიზისა და დაკვირვების მეთოდები, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ და შეძლებისდაგვარად სრულწარმოდგენას გვაძლევენ საკვლევი ობიექტის შესახებ. სწორედ ამან განსაზღვრა ის უპირატესობა, რომელიც ჩვენს კვლევაში მას მივანიჭეთ. გამოკითხვა, როგორც ანალიტიკური მეთოდის ნაირსახეობა, გულისხმობს უშუალოდ პრობლემის მატარებელთა ნკონტაქტს. ის შეუცვლელია იმ შემთხვევებში, როდესაც გვსურს, მივიღოთ სრული ინფორმაცია ინდივიდის სუბიექტურ მოსაზრებებზე, გრძნობებზე, ქცევის მოტივებზე. გამოკითხვის მეთოდის მნიშვნელობა ჩვენი კვლევისათვის მდგომარეობს იმაში, რომ:

1. ინფორმაციის წყაროდ გვევლინება ინდივიდის მოსაზრება, მსჯელობა;
2. გამოკითხვისას შესაძლებელია მაქსიმალურად მცირევადებში ადამიანთა საკმაოდ დიდი ჯგუფები გამოკითხოთ და მრავალფეროვანი ინფორმაცია მივიღოთ;

3. გამოკითხვით შესაძლებელია სოციალური პრაქტიკის სხვადასხვა ფართო სფერო მოვიცვათ. გამოკითხვის ფორმალიზებული ნაირსახეობა, როგორც ინფორმაციის შეგროვების მეთოდი, იყოფა ანკეტირებასა და ფორმალიზებულ ინტერვიუზე. არაფორმალიზებულ გამოკითხვას მიეკუთვნება არაფორმალიზებული ინტერვიუს ნაირსახეობები; კრეატიული, სიღრმისეული, თავისუფალი. ანკეტირების ჩატარების ვარიანტებიდან – ინდივიდუალური და ჯგუფური (რომელიც იძლევა შესაძლებლობას ერთდროულად მიმართო რესპონდენტთა გარკვეულ ჯგუფს) გამოვიყენეთ ორივე ვარიანტი.

მოცულობის მიხედვით, ჩვენი გამოკვლევა შეიძლება არჩევითის კატეგორიას მივაკუთვნოთ (რომელიც მოიცავდა სხვადასხვა გემის მეზღვაურთა მიზნობრივ ჯგუფებს); ჩატარების ფორმით – კომბინირებულსის მოიცავს პასუხებს როგორც ზეპირი და წერილობითი – ასევე კრეოლიზებული (გამოვიყენეთ ინტერნეტ-კომუნიკაცია სკაიპის საშუალებით) ფორმით. გამოვიყენეთ ინტერვიურების მეთოდიც. ჩატარების ფორმის მიხედვით ინტერვიუ შეიძლება იყოს პირდაპირი (რომლის ტექნიკურ ნაირსახეობას წარმოადგენს სკაიპი) და გაშუალებული; გამოყენებით სოციოლოგიაშია არსებული ინტერვიუს სამნაირ სახეობას: ფორმალიზებულ, ფოკუსირებულსა და თავისუფალს გარკვეული პრინციპებით განასხვავებენ. ფორმალიზებული ინტერვიუირება განსხვავდება გამოკითხვის განიმით, რომ პასუხებს თვით ინტერვიუერი იწერს, ხოლო უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ შესაძლებლობა გვექმნება საკვლევ მოვლენაზე გამოკითხულთა უშუალო შთაბეჭდილება, ანუ ცოცხალი რეაქცია დავაფიქსიროთ (ამ საქმეში ჩვენ დახმარება გაგვიწიეს საზღვაო კადემიის კურსანტებმა, აღნიშნული გემების პირველი კატეგორიის მატროსმა - მაგ.რეხვიაშვილმა, კაპიტანმა - ა.ბალაძემ, მექანიკოსმა-ს.გოგიტიძემ).

ანალიტიკურ იმეთოდის ნაირსახეობებიდან გამოიყენებოდა როგორც დაკვირვების ე.წ „ჩართული“ (როდესაც დამკვირვებელი საკვლევ ჯგუფის წევრია და შიგნიდან ხედავს მოვლენებს), და „ჩაურთველი“ მეთოდები, როდესაც მკვლევარი გარედან აფიქსირებს მოვლენებს), აგრეთვე ფარული (საკვლევ ჯგუფის წევრებმა არ იციან, რომ მათ აკვირდებიან) და ღია (როდესაც საკვლევ ჯგუფის წევრებმა იციან, რომ მათ აკვირდებიან) დაკვირვება. დაკვირვების მეთოდის გამოყენება იმითაც იყო საინტერესო, რომ არ იყო დამოკიდებული დაკვირვების ობიექტთა მზაობა ზედა შესაძლებლობას იძლეოდა მრავალმხრივად დაგვეხასიათებინა საკვლევ ობიექტი. ინფორმაციის მოპოვება სხვადასხვა საშუალებით ხორციელდებოდა. ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს კითხვარების შედგენა წარმოადგენს. ჩვენი მიზანი იყო კითხვარში ინტეროგატიული ფორმით აგვესახა კვლევის მიზანი და მოგვეხდინა კითხვებისა და მათ ზეპასუხების სტანდარტიზირება. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე-შეკითხვების ფორმის მიხედვით გამოვიყენეთ სამი ფორმატი: ღია (როდესაც ანკეტის კითხვაზე რესპონდენტს საკუთარი სიტყვებით შეუძლია უპასუხოს და პასუხი შეიძლება ნებისმიერი ფორმით იყოს წარმოდგენილი. ისინი არ შეიცავენ მინიშნებებს და არ ახვევენ თავს რესპონდენტს პასუხის ვარიანტს) ,

დახურული (თუ ანკეტაში მოცემულია პასუხის სრული ვარიანტები და ინფორმანტისდა რჩება , რომ პასუხი შემოხაზოს) , ნახევრად დახურული – როდესაც მკვლევარი არ არის დარწმუნებული შესაძლებელ პასუხთა სისრულეში და შესაძლებლობას აძლევს რესპონდენტს თვითონ შეავსოს მონაცემები.

კონტაქტის ფორმის მიხედვით გამოყენებული იქნა პირდაპირი (როდესაც კითხვა პირდაპირი მიმართულია რესპონდენტისგან ინფორმაციის უშუალოდ მიღებაზე) და ირიბი – როდესაც კითხვა ზოგადადაა ჩამოყალიბებული და კონკრეტულ პირს არ გულისხმობს (უპიროა), მაგ ., „ზოგი თვლის რომ? თქვენ როგორ ფიქრობთ.... ?) ფორმები. შინაარსის მიხედვით შეკითხვები ეხებოდა ფაქტებსა და პიროვნებს .ბუნებრივია, კითხვების ფორმულირებისას ვითვალისწინებდით პირობებს, რომელშიც ტარდება გამოკითხვა. თავდაპირველად რესპონდენტებს განემარტათ კვლევის მიზანი, რაც მდგომარეობს ინტერკულტურული კომუნიკაციის კვლევისას შესაძლო კონფლიქტური ზონების გამოყოფასა და მათ შესაძლო წვლილში გემზე სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფის წარმომადგენელთა ურთიერთობის ჰარმონიზაციაში. შესაბამისად იქნა დალაგებული კითხვების თანმიმდევრობა. თავდაპირველად ინფორმანტებს უნდა განესაზღვრათ გემზე პიროვნებათ შორის კომუნიკაციის პროცესში კონფლიქტური სიტუაციების მთავარი მიზეზები; შემდეგ მათ განემარტათ მუქარის ბუნება და გამოხატვის თავისებურებანი. მუქარის სემანტიკური სტრუქტურის ცალკეული კომპონენტების როლის განსასაზღვრად და სამეტყველო ინტენციის წარმატებული განხორციელებისთვის კითხვა შემდეგნაირად იყო ფორმულირებული :

მუქარისას, რომელ მნიშვნელობას აკონკრეტებთ:

ა) რომ განახორციელებთ შესაბამის მოქმედებას – შუა ზღვაში გადაგადებ. (ს.გოგიტიძე);

ბ) პოტენციური ზიანის სახეს...(მაგ. ამ თურქმა წავიდა და სეკიურიტთან ჩაუშვა დამემუქრაო. ყელს გამოგჭრი და დანაც მომადლო კისერზეო, რის გამოც სახლში გამოუშვეს, ჩამოწერეს გემიდან (ს.გოგიტიძე .სტილიდაცულია);

გ) აკონკრეტებთ პირობას, რომელსაც მოჰყვება შესაბამისი მოქმედება (თუ არ გამოსწორდები პირველივე ნავსადგურში ჩავსვამ (დ.ბალაძე)

დ) სხვა სახით გამოხატავთ მუქარას, მაგ.,მინიშნებით (კარგიანაპირზეგასეირნება– დ.ბალაძე)

ჩვენ გამოვიკვლიეთ გემზე მუქარის სიტუაციის გამომწვევი მიზეზები ,რომლებიც მნიშვნელობის მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა:

1. სხვაობა ენასა და კულტურაში ხშირად წარმოადგენს კონფლიქტის წყარო, მაგ. ქართული მენტალიტეტისთვის მიუღებელია მიმართვა (გინებით). მუქარისა და ჩამოწერის მიზეზი გახდა ენობრივი ფაქტორი:

After receiving order to write report why he is refuse to do ordered job Deck Cadet – Svitlychnyy Serhiy answer that he is don't know how to write at English language. (ჩამოწერის რეპორტი)

კულტურათა განსხვავება ახალბედებთან დამოკიდებულებაში აისახა ჩინელი თანაშემწეების საქციელში ,რომლებმაც თხოვნაზე „ ესწავლებინათ რაღაცები „ პასუხობდნენ კურსანტს: „WHAT'S BENEFIT? WHY I SHOULD TEACH YOU, I'M NOT YOUR TEACHER, FRINED OR BROTHER“ (ი.სირაბიძე).

გემზე განსხვავებულ კულტურათა კონფლიქტის მიზეზებს აღწერს. ხალვაში :“მეორე თანაშემწემ მითხრა ეს ინდუსები როგორ საშინლად ყარან, საშინელი სუნი აქვთო, ღამით VHF-ითაც კი მიდის გადამახილი “I CAN'T SEE YOU BUT I CAN SMELL YOU” ეს ინდუსებს ეხებაო, ინდუსები კი თავის მხრივ მოაყოლებენ „PHILIPPINO MONKEY“, ფილიპინელები კი ისევ პასუხობენ “INDIAN DONKEY” რომ რიტმაში ჩაჯდეს ზედაპირულად დავინახავთ რომ ინდუსებს თითქმის ვერც ბირმელები ვერ იტანენ, ვერც ტაილანდელები“ (რ. ხალვაში. აქაც სტილი დაცულია)

2. სამეთაურო შემადგენლობის პირთა პირადი თვისებები, რაც გამოიხატება სიუხეშეში, ბრძანების გაცემის სტილში, მოუქნელ კომუნიკაციაში და ქედმაღლობაში;

3. თანაბარი სტატუსის დროს დაბეზლება (თუ დაწერ მოხსენებას ორივეს ჩაგწერენ);

4. დაბალი პროფესიონალიზმი და სამუშაოსთან არასერიოზული დამოკიდებულება; სამუშაოს შეუსრულებლობა (ვინც არ შეასრულებს საკუთარ მოვალეობას დაუყონებლივ გავუშვებთ სახლში.) - სხვებთან საუბრით დრო ნუ გაგყავს თორემ შვიდ საათამდე იმუშავებ.

5. დისციპლინისა და შინა განაწესის დარღვევა

- თუ ისევ სანდლებითა და შორტებით ამოხვალ ხადურზე შემდეგ პორტში შენი შემცვლელი დაგხვდება.

- თუ მეორეჯერ დავინახავ რომ სიმაღლეზე სამაშველო ღვედის გარეშე მუშაობ უფროს თანაშემწეს ვეტყვი რადგან შენს უსაფრთხოებაზე მე ვარ პასუხისმგებელი .

6. სხვისი ნივთების დაუკითხავად აღება

თუ კიდევ აიღებ საერთო კომპიუტერს (NOTE-BOOK-ს) კაპიტანთან ვიჩივლებ.

7. უკულტურო და არაესთეტიკური ქცევა

ფეხზე დახეულწინდებს ნუ იცმევ თორემ შენი ხელფასიდან ჩამოგაჭრი და იმით გიყიდი;

დაუდევრობა და თვით დაზიანების შესაძლებლობა;

-თუ კიდევ დაგრჩება ორთქლისჩამკეტი მოშვებული OS-ს გადავიყვანთ დონკერმანად და შენ სახლში წახვალ.

საათვალეების გარეშე ნუ აკეთებთ CHIPPING-ს თორემ ნასხლეტის თვალში ჩავარდნის შემთხვევაში თქვენი ხარჯებით წახვალთ ექიმთან.

პროფესიული ნაკლი თუ კიდევ გააკეთებთ მასეთ მანევრს მე იძულებული ვიქნები სხვა ლოცმანი მოვითხოვო და თქვენ გაგანთავისუფლოთ.

საინტერესოა,რომ ქალები, როგორც კონფლიქტის ერთ-ერთი სავარაუდო მიზეზი, ბევრ კომპანიაში გემზე სამუშაოდ არ მიიღებიან.

ჩვენ აგრეთვე გავანალიზებთ გემიდან ჩამოწერის რა პორტები, რომლებშიც შედის საზღვაო კონფლიქტების მიზეზები და შეიცავს გაფრთხილებასთან დაკავშირებულ შესაძლო სანქციების შესახებ ინფორმაციას:

–A lot of talking with question: “Show me where is wrote that I should do this job?”

–These talks never stopped.

რესპოდენტებს განემარტათ სხვაობა მუქარის სტრუქტურის გამოხატვის თვალსაზრისით. ანკეტაში შეტანილი იყო შემდეგი კითხვები : ძირითადად რა ფორმის მუქარებს იყენებთ; რა სახით გამოხატავთ მუქარას ქვეშევრდომების მიმართ (ან რანგით ქვემდგომის მიმართ) ?

მუქარა სინგლისურენაზერა შემთხვევაში მიმართავთ (ან ინგლისურ ენაზე დამუქრება რა შემთხვევაში ხდება) ?

აფექტური მდგომარეობისას რა ენაზე გამოხატავთ მუქარას (რა ენაზე იმუქრებით ექსტრემალურ სიტუაციაში) ?

პასუხი: მშობლიურენაზე , 2 ენაზე (ინგლისურსა და მშობლიურზე).

რა ფუნქციით იყენებთ მუქარას ?

რა შემთხვევაში არ განასხვავებთ მუქარის ადრესატებს ?

გემზე პროფ. კომუნიკაციისას –სანქციებით დამუქრება ყველაზე ქმედითია

რა მიგაჩნიათ რეალურ საშიშროებად როგორც მუქარიადრესატსა და ადრესანტს უთითებთ თუ არა დამუქრებისას მოსალოდნელ სანქციებს ?

ხელმძღვანელობასთან დამოკიდებულება–ჩაშვება

რა შემთხვევაში არღვევთ სუბორდინაციას მუქარის ფორმით ?

რა იწვევს თქვენში უარყოფით ემოციასა და მუქარას ?

მუქარის ტაქტიკა სხვადასხვა ეთნოსთან აყალიბებთ თუ არა მუქარის პირობა–მოთხოვნას ? –პასუხი ისედაც გასაგებია; სიტუაციის მიხედვით;

ანკეტა შეიცავდა აგრეთვე :

1.ინფორმანტის გვარს , სახელსა და ასაკს

2.ინფორმანტის სტატუსს გემზე

3 .მუქარის ენას

4.ინფორმანტის ეროვნებას

5. მუქარის ტიპს.

რომელი კულტურისთვის არის ტიპური პირდაპირი და ტრანზიტული მუქარა (ეს შეკითხვა დამკვირვებლებს) ,როგორ გამოხატავენ მუქარას სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები? (ეს კითხვაც დამკვირვებლებს)

მუქარის ,რომელ ფორმას ამჯობინებთ ?

ექსპერიმენტისას გათვალისწინებული იყო მუქარის სოციოლოგია: 1) როცა კომუნიკანტებს ჰქონდათ თანაბარი სტატუსი; 2) იერარქიული ურთიერთობა უფროს–უმცროსი. გემებზე არ იყო რელევანტური გენდერული ფაქტორი . როლების სიტუაციური ცვლა.

გარდა გემზე არსებული სტატუსთა იერარქიისა მნიშვნელოვანია ეთნიკური ბალანსი, რომელიც ასახავს კომუნიკანტთა ურთიერთდამოკიდებულებას ლიდერის

პოზიციიდან . ინგლისელს, მიუხედავად ერთნაირი სტატუსისა, ინდოელზე მაღლა უჭირავს თავი...

კვლევის ერთ-ერთი სფერო იყო მუქარა და ადრესატი ანუ დამუქრებისას რა როლს თამაშობს ადრესატის სოციალური სტატუსი? შეკითხვა ეხებოდა მუქარის ფორმას თანაბარი სტატუსის ,ზემდგომ და ქვემდგომთან მიმართებაში. აქვე გაანალიზებულია, თუ რა როლს თამაშობს დამუქრებისას ადრესატის ეთნიკური სტატუსი?

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა კაპიტანდ. ბალადის მოსაზრება : „ როგორც გითხარი არ აქვს უფლება აგრესია გამოხატოს, დაემუქროს ვინმეს გარდა ერთი შემთხვევისა, ეს არის სახლში გაშვების მუქარა, არ იმუშავებს ვინმე დაემუქრებიან, უფრო სწორედ გამაფრთხილებელ შენიშვნას მისცემენ თუ არა იმუშავებდა “sign off” არ აგცდებო, დალევ,“ sign off”, იჩხუბებ :“ sign off” და ა.შ., სტარპომი მეორე ან მესამე პამოშნიკი, კაპიტანთან ამბის მიტანით ემუქრება მის რანგით მდგომს, მეორე მექანიკოსი, მესამე და მეოთხე მექანიკოსი კი ემუქრება უფროს მექანიკოსთან ამბის მიტანით, რომელიც საბოლოოდ კაპიტანთან მიდის. ხოლო კაპიტანი კი უკვე კომპანიით ემუქრება ეკიპაჟის წევრს რომელიც რამეში იქნება დამნაშავე. პირად გაბრაზებას კი გამოხატავენ, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა მათ ენაზე, არა ქვს მნიშვნელობა ეს იქნება ინდუსი, ტაილანდელი, ბირმელით უშრილანკელი.(კონფლიქტური სიტუაციების დროს არავინ არაა დაცული გემზე ყველაზე ხელშეუხებელი პირი - კაპიტანიც კი. ყოფილა შემთხვევები როდესაც კაპიტნის კონფლიქტი რომელიმე მაღალი რანგის ოფიცერთან დამთავრებულა კომპანიის წარმომადგენლის გემზე ვიზიტით და ორივეს გემიდან ჩაწერით „(დ.ბალაძე).

ემპირიული მასალა ჩვენ მოვიპოვეთ გემებზე “NIARA”, ”KAMALA”, ”PORTOFINO” დასხვ., რომელთა ეკიპაჟის შემადგენლობაში შედიოდნენ მეზღვაურები შრილანკიდან , ტაილანდიდან, მიანმარიდან, უკრაინიდან, ხორვატიიდან, პაკისტანიდან .ინტერნაციონალურ შემადგენლობაში ფაქტობრივად არც ერთი წმინდა ინგლისელი არ იყო , თუმცა ძირითად საკომუნიკაციო ენას სწორედ ინგლისური წარმოადგენდა .უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისურ ენაზე კომუნიკაცია სრულიად არ ნიშნავს ინგლისელივით მოქცევას, ამიტომ მუქარის გამოვლინება ძირითადად ეთნოსპეციფიკურია და თან ახლავ შესაბამისი კულტურების არავერბალური ატრიბუტებიც (პოზა, გამომეტყველება, ჟესტიკულაცია და ა.შ.) ხელმძღვანელისა და დაქვემდებარებულის ურთიერთობაში დისტანციის შენარჩუნების მექანიზმი კარგა ხანია რეგლამენტირებულია საწესდებო მოთხოვნებით, რაც მიმართვის ფორმებსა და სხვადასხვა სტატუსის ადამიანთა ერთად ცხოვრების აკრძალვაში მდგომარეობს. მაღალი რანგის ოფიცრები, ისეთი, როგორიცაა კაპიტანი თავს არიდებს სხვა ენაზე ლაპარაკ უცხო ხალხში, რა თქმა უნდა, თუ მისი ქვეყნის წარმომადგენელი არ ყავს ეკიპაჟში. ასეთ გემებზე, რომელთა ეკიპაჟის შემადგენლობა ეთნიკური თვალსაზრისით არაერთგვაროვანია და განსხვავდება ენის ცოდნის სიღრმით, მეზღვაურებს ძირითადად უხდებათ საერთაშორისო საზღვაო ენობრივი სტანდარტის გამოყენება, რომელიც წარმოადგენს

პროფესიული ინგლისურის მინიმუმს და რომელიც აუცილებლად უნდა იცოდეს ეკიპაჟმა, რომ განახორციელოს სავაჭრო ოპერაციები, კომუნიკაცია დაამყაროს ნაპირთან ან სხვა გემებთან და თავიდან აიცილოს გაუგებრობა. სწორედ ენობრივი დეფიციტითაა გამოწვეული ის ფაქტი, რომ არაინგლისურენოვანი კრიტიკულ შემთხვევებში არავერბალურ კომუნიკაციას აჯობებენ . მიუხედავად გემის ეთნიკური შემადგენლობის არაერთგვაროვნებისა, შენიშვნადა მუქარა ძირითადად ინგლისურ ენაზე მიდის, თუმცა ცალკეული კულტურების წარმომადგენლები განსხვავდებიან მისი გამოხატვის სპეციფიკით. ასე, მაგალითად ,მიანმარელები და ტაილანდელები თავს არიდებენ პირდაპირ შენიშვნას და ცდილობენ პირდაპირ კაპიტანთან მივიდნენ და მოუყვნიენ ყველაფერს. არა პირდაპირი მუქარა ზოგჯერ გამოიყენება დამნაშავის გამოტეხის მიზნით, როგორც ეს მოხდა გემ „Portofino–ზექურდობის ფაქტთან დაკავშირებით: „ Today, I'll take permission from master for check out cabins, if I'll find in somebody's cabin I fuck him directly overthere ,,

გაბრაზებისა და მუქარის დროს ინდოელების საყვარელი სიტყვაა "ben chut"რაც თარგმანში შეესაბამება ინგლისურ"f..." . (ეს ,რა თქმა უნდა ,თუ ვისაც ამას ეუბნებიან არ იცის ამ სიტყვის მნიშვნელობა).თითოეული ადამიანი ინდივიდუალურობით გამოირჩევა .თვითონ ქართველი მეზღვაურები, ჩვენი რესპონდენტის თქმით ,ნებისმიერი მუქარისა და გაბრაზების დროს, ჩვენ მამაპაპურ გინებას იყენებენ. ტაილანდელები და ბირმელები პირადად არ გამოხატავენ ემოციებს, რესპონდენტის თქმით, “ ქალაჩუნები არიან და ყოველთვის ცდილობენ ქვეშიდან გამოვიდნენ და საჩივარი დაწერონ.

კაპიტანი Gunasekara Ralitha ამბობდა, რომ პირდაპირ მუქარად გემზე აღიქმება მხოლოდ ის, როდესაც პიროვნებას სახლში გაშვებით ემუქრებიან. სხვა სახის მუქარა გემზე არსებული იერარქიული ურთიერთობის გამო ვერც იქნება, იმიტომ ,რომ უკვე კრიმინალად ჩაითვლება. საერთოდ მუქარას გემზე ყველა არიდებს თავს.თუ ის არ ეხება სამუშაოს ,მაშინ ეს პირად კონფლიქტში ჩაითვლება და ასეთი ადამიანი სახლში იქნება გაწვეული .მუქარის ჰორიზონტალური და განზომილებები გემზე შედარებით ნაკლებად მრავალფეროვანია , ვიდრე ჩვეულებრივ კომუნიკაციაში. იერარქიული მუქარის ყველაზე გავრცელებული "SIGNOFF" – „ჩაგწერ“(ჩაგწერ,თუ ამას არ გააკეთებ; ჩაგწერ,თუ დალევ, ჩაგწერ,თუ,იჩხუბებ, ჩაგწერ,თუ ბრძანებას არ დაემორჩილები), თუმცა დაფიქსირდა ისეთი შემთხვევაც , როდესაც შრი ლანკელმა უფროსმა თანაშემწემ მიმართა მეზღვაურს,რომელიც შეეწინააღმდეგა და ეკამათებოდა სამუშაო დროს " shut a fuck up, why are you talking so much".

გემზე არ რჩება ზედმეტი ცერემონიების დრო და,თუ იმასაც გავითალისწინებთ ,რომ ეკიპაჟის შემადგენლობის უდიდეს ნაწილს მამაკაცები შეადგენენ, არ უნდა გაგვიკვირდეს ,რომ ხშირია სალანძღავი და ობსცენური ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის გამოყენება. გემზე ხშირია უხეში მიმართვის ფორმები და სკაბრეზული ლექსიკა – მუქარის სამეტყველო აქტი მჭიდროდაა დაკავშირებული ემოციურ ფაქტორთან როგორც ადრესატზე ემოციური ზემოქმედების , ასევე განსაკუთრებული ემოციური რეაქციის გამოწვევის თვალსაზრისით. სპეციფიკურია

სალანძღავი სიტყვების აღქმის სპეციფიკაც პოლიეთნიკურ შემადგენლობაში .ერთი და იგივე შინაარსის გინება უფრო მტკივნეულად აღიქმება მშობლიურ ენაზე. საზღვაო კომუნიკაციაში უნივერსალური უცხოენოვანი სალანძღავი სიტყვების გამოყენება მუქარისას ფსიქოლოგიურადაც უფრო ადვილია .გაცილებით მარტივია და ნაკლებად საწყენი ინგლისურად წარმოთქვა სიტყვა «Fuck» ვიდრე მისი ქართული ეკვივალენტი .

კვლევის შედეგად დადგინდა :

1. ლიტერატურული ინგლისური ენებისგან განსხვავებით, გემზე არ ფიქსირდება ირიბი სამეტყველო აქტების უპირატესი ხასიათი მუქარის გამოხატვისას;

2. ეთნოსპეციფიკურია სპეციალური ლექსიკო-გრამატიკული და ინტონაციური საშუალებების გამოყენება მუქარის ინტენციის გადმოსაცემად პოლიეთნიკური ეკიპაჟის შემადგენლობაში ;

3. თვალშისაცემია სხვაობა დაბალი სტილისა და სალანძღავი ლექსიკის ხშირ გამოყენებაში;

4. საზღვაო კომუნიკაციაში ფაქტიურად გამორიცხულია მუქარის გამოხატვის ფატიკური ფორმები, რაც, შესაძლებელია განპირობებულია იმით, რომ ეს კატეგორია ინგლისური კულტურის ნაწილია და არა აქვთ გათავისებული ეკიპაჟის ეთნიკურად განსხვავებული კულტურების წევრებს ;

5. შეინიშნება კომუნიკაციის სპეციფიკიდან გამომდინარე სტანდარტიზაციის მეტი ხარისხი მუქარის გამოხატვისას ,რაც გამოხატავს მისწრაფებას გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით შეზღუდოს საკომუნიკაციო ფრაზების რაოდენობა და მკაცრად განსაზღვროს მათი შინაარსი.

ლიტერატურა:

1. Rymes, (2008). Language Socialization and the Linguistic Anthropology of Education. Encyclopedia of Language and Education, 2(8, Springer), 1.
2. Ember, Carol R., and [Melvin Ember](#). 1998. Cross-Cultural Research. Handbook of Methods in Cultural Anthropology / Ed. by H. R. Bernard, pp. 647–90. Walnut Creek, CA: AltaMira Press.
3. Ember, Carol R., and [Melvin Ember](#). 2001. Cross-Cultural Research Methods. Lanham, MD: AltaMira Press.